



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო
პროგრამა

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული
თავდაცვის აკადემია

შეფასების თარიღი: 2025 წლის 22 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2025 წლის 16 ივნისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა..	14
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	20
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	23
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	30

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218083222
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	შტეფან ჰანდკე, დრეზდენის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ /ორგანიზაცია/ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	International Relations and Diplomacy
უმაღლესი განათლების საფეხური	მეორე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	123
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა არის ორწლიანი (123 ECTS კრედიტი) საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეიქმნა რომ სტუდენტებს მიაწოდოს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, ისტორიისა და პრაქტიკის კომპლექსური ცოდნა. პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულები აღჭურვოს ანალიტიკური, კვლევითი და კომუნიკაციის უნარებით, რაც საჭიროა საჯარო სამსახურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, დიპლომატიურ სფეროსა და აკადემიურ სივრცეში პროფესიული საქმიანობისთვის. პროგრამა გამორჩეულია ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, რომელიც მეტად ფოკუსირებულია უსაფრთხოების კვლევებსა და თავდაცვის პოლიტიკაზე და ორიენტირებულია და მოიზიდოს სტუდენტები, რომლებსაც აქვთ ინტერესი ამ სფეროებისადმი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

წინამდებარე ანგარიში ასახავს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის გარე შეფასების შედეგებს, რომელიც განხორციელდა 2025 წლის 22 აპრილს ქალაქ გორში. შეფასების მიზანს წარმოადგენდა პროგრამის შესაბამისობის დადგენა აკრედიტაციის სტანდარტებთან და გაუმჯობესების შესაძლებლობების გამოვლენა. ექსპერტთა ჯგუფმა გამართა შეხვედრები პროგრამის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, სხვა პროგრამების კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რომ გამოეცლინა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტების ძირითად მოთხოვნებს და აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, გახდეს რეგიონში წამყვანი პროგრამა. შეფასების დროს გამოვლენილ გასაუმჯობესებელ მხარეებზე მუშაობა კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს პროგრამის ხარისხს, მის გავლენასა და აქტუალობას.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები თავიდან გადაიხედოს, რათა მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბდეს რა ტიპის ცოდნის გადაცემას, უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას უწყობს პროგრამა ხელს და შეესაბამებოდეს მის რეალურ სტრუქტურას. მიზნებში ასევე უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და მკაფიოდ აღინიშნოს მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტი.
- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტის კურსებში, როგორც ამას ითხოვს ეროვნული რეგულაციები.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდებულია, რომ კურსი „დიპლომატიის ისტორია“ გადავიდეს არჩევით კომპონენტში და შეიცვალოს ისეთი კურსით, რომელიც მოიცავს დიპლომატიის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას და შემდგომ ვრცლად სამხედრო დიპლომატიის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, რომ სავალდებულო კომპონენტის ზოგიერთი ძირითადი კურსი განისაზღვროს მათთან თემატურად დაკავშირებული არჩევითი კურსების წინაპირობად.
- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსი - განსაკუთრებით „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ და „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ - ყოველწლიურად განახლდეს მაღალი აკადემიური სტანდარტის, თანამედროვე წყაროებით. სილაბუსებში წარმოდგენილი უნდა იყოს უახლესი სახელმძღვანელოები და შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტები.
- რეკომენდებულია მოხდეს კურსის *„ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში“* გადახედვა და გაძლიერება უფრო მკაფიო კონცეპტუალური ფოკუსით, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად თეორიასთან გადაფარვის თავიდან აცილების უზრუნველყოფით და შერჩეული თემების თემატური თანმიმდევრულობისა და აკადემიური შესაბამისობის მიმართულებით.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
 - სასურველია, რომ სწავლების შედეგები უფრო მკაფიოდ დაჯგუფდეს.
 - სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენის კურსები.
 - სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ფორმით ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი.
 - სასურველია, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს გამოცდილება სამხედრო დიპლომატიის მიმართულებით, რათა წვლილი შეიტანონ „საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში.
 - სასურველია, პროგრამის ფარგლებში იკითხებოდეს ცალკე კურსი ან არსებითად ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები არსებულ მოდულებში როგორიცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „ეთიკა საერთაშორისო ურთიერთობებში.“
 - სასურველია და მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**
 - საუკეთესო პრაქტიკაა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს მიმდინარე საერთაშორისო კონტექსტს, როგორიცაა NATO-ს ჩარჩოები და გეოპოლიტიკური ქეისების შესწავლა. პროგრამის

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

სტრუქტურირებული კურიკულუმი ხელს უწყობს ანალიტიკურ და პოლიტიკის კვლევის სწავლებას, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა საგარეო პოლიტიკა, თავდაცვის სტრატეგია და რეგიონული ძალის დინამიკა.

▪ ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

2025 წლის 4 ივნისის თარიღით მოწერილ წერილობით განცხადებაში საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია გამოეხმაურა 2025 წლის 12 მაისს გამოქვეყნებულ აკრედიტაციის დასკვნის პროექტს. აკადემია, ზოგადად, ეთანხმება დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების უმეტესობას. თუმცა, იგი არ ეთანხმება სტანდარტ 1.1-ში მოცემულ რეკომენდაციას, რომელიც პროგრამის მიზნების გადახედვის საჭიროებას ეხება, და წარმოადგინა კონტრარგუმენტები სტანდარტ 1.5-ში კონკრეტული კურსების სილაბუსებთან დაკავშირებული რამდენიმე რეკომენდაციის თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა არგუმენტები. სტანდარტ 1.1-ის თაობაზე რეკომენდაციის შენარჩუნება გადაწყდა რადგან, თავად აკადემია აპირებს პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის შედეგების გადაფორმულირებას; თანმიმდევრულობისთვის აუცილებელი იქნება პროგრამის მიზნების გადახედვა. ამიტომ რეკომენდაცია რჩება აქტუალური და ლოგიკურად გამართლებული.

1.5 სტანდარტთან დაკავშირებით, კი ჯგუფმა ნაწილობრივ გაითვალისწინა აკადემიის არგუმენტი და გადაწყვიტა თავდაპირველი რეკომენდაციის გადახედვა. თავდაპირველი რეკომენდაცია ეხებოდა რამდენიმე კურსის სილაბუსს. დასკვნის საბოლოო ვერსიაში რეკომენდაცია მხოლოდ კურს "ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებს" შეეხება.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიდწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ეხება

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილია საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა. მისი მიზნები ჩამოყალიბებულია ლაკონურად, მითითებულია სამიზნე აუდიტორია (სამხედრო და სამოქალაქო პერსონალი), ცოდნის ტიპი, რომლის გადაცემასაც პროგრამა ისახავს მიზნად (საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლების სიღრმისეული ცოდნა), და უნარები, რომელთაც ის ავითარებს (უნარი, რომ ჩამოაყალიბონ რაციონალური და ეროვნული ინტერესების შესაბამისი ოპტიმალური პოლიტიკები).

თუმცა, ცოდნასთან დაკავშირებულ მიზანი მოიცავს შემდეგ ფორმულირებას - „ემპირიული გამოცდილება ამ სფეროში,“ რომელიც საჭიროებს მეტ დაზუსტებას. თუ აქ იგულისხმება პრაქტიკული უნარების განვითარება, აღსანიშნავია, რომ პროგრამის არსებულ სტრუქტურაში პრაქტიკული კომპონენტი არ მოიაზრება. დამატებით, ცოდნასთან დაკავშირებული მიზანი საჭიროებს მეტ განვრცობას და მკაფიოდ ჩამოყალიბებას.

პროგრამა ინტერდისციპლინურია, რაც თვალსაჩინოა სასწავლო გეგმაში. აღნიშნული მახასიათებელი მკაფიოდ უნდა განისაზღვროს პროგრამის მიზნებშიც. უნარებთან დაკავშირებული მიზანი მიუთითებს, რომ პროგრამა განკუთვნილია გადაწყვეტილების მიმღები პირების მომზადებისთვის. თუმცა, პროგრამის სტრუქტურა ამ მიზანს არ ითვალისწინებს, რადგან ის არ მოიცავს პრაქტიკულ სწავლებას ან კურსებს, რომლებიც შეეხება პოლიტიკის დოკუმენტების შედგენას ან მსგავს კომპეტენციებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის თანახმად, პროგრამა შეიცავს უნიკალურ ელემენტებს, რომლებიც არ არის ასახული პროგრამის მიზნებში.

მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები თავიდან გადაიხედოს, რომ მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბდეს რა ტიპის ცოდნის გადაცემას, უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას უწყობს პროგრამა ხელს და შეესაბამებოდეს მის რეალურ სტრუქტურას. მიზნებში ასევე უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და მკაფიოდ აღინიშნოს მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტი, რაც თავის მხრივ

ხაზგასმულია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) მისიაში, ისე აკადემიის განვითარების სტრატეგიაში 2023–2029 წლებისთვის.

მიზნების გადახედვის შემდეგ, ისინი გახდება მეტად რეალისტური, მიღწევადი და სასწავლო გეგმის შესაბამისი. ამჟამად, ისინი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო დონეს, თანხვედრაშია უსდ-ს მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან - რეკომენდირებული ცვლილებების შესრულება კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას.

უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში დეტალურად აღწერს თვითშეფასების პროცესს და პროგრამის განვითარების ეტაპებს. ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას. პროგრამის შექმნის ინიციატორია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელიც ასევე კურსდამთავრებულების ძირითადი დამსაქმებელია. აღნიშნული დასტურდება როგორც დოკუმენტებით, ისე ადგილზე ინტერვიუების შედეგებით.

უსდ-ის სხვა სამაგისტრო პროგრამების სასწავლო გეგმები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე. პროგრამის სასწავლო გეგმაც გამოქვეყნდება ონლაინ აკრედიტაციის პროცესის დასრულების შემდეგ და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ის მისია
- უსდ-ის სტრატეგია (2023-2029).
- საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სტრატეგია
- თავდაცვის აკადემიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის კორესპონდენციის დოკუმენტები.
- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი <https://eta.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნები თავიდან გადაიხედოს, რათა მკაფიოდ და ზუსტად ჩამოყალიბდეს რა ტიპის ცოდნის გადაცემას, უნარებისა და ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას უწყობს პროგრამა ხელს და შეესაბამებოდეს მის რეალურ სტრუქტურას. მიზნებში ასევე უნდა გამოიკვეთოს პროგრამის განსაკუთრებული ღირებულება და მკაფიოდ აღინიშნოს მისი ინტერნაციონალიზაციის ასპექტი.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა განსაზღვრავს სწავლის შედეგებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის აღმწერისა და ევროპული უმაღლესი განათლების სტანდარტების შესაბამისად. სწავლის შედეგები მოიცავს კოგნიტური, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების დაბალანსებულ ნაკრებს. ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ცოდნას და პრაქტიკას, კვლევით კომპეტენციებს, ეთიკურ ცნობიერებას და სტრატეგიულ აზროვნებას, რომელიც შეესაბამება თავდაცვისა და დიპლომატიის კონტექსტს. სწავლის შედეგები დაკავშირებულია პროგრამის მიზნებთან კურიკულუმის რუკისა და შეფასების გეგმის საშუალებით, რომლებიც შემუშავდა ინსტიტუციაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შესაბამისად. პროცესი იყო თანამშრომლობითი და მასში მონაწილეობდნენ აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და გარე დაინტერესებული მხარეები, როგორიცაა დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები.

პროგრამა ძირითადად შეესაბამება სტანდარტს. თუმცა, სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტის კურსებში, როგორც ამას ითხოვს ეროვნული რეგულაციები. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის მიზნების გადახედვის შესახებ გაიცა რეკომენდაცია, ასევე სასურველია, ხელახლა ფორმულირდეს სწავლების შედეგებიც, პროგრამის განახლებული მიზნების შესაბამისად. ამასთან, სასურველია, სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ დაჯგუფდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი <https://eta.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ასახავდეს მხოლოდ იმ ასპექტებს, რომლებიც წარმოდგენილია სავალდებულო კომპონენტის კურსებში, როგორც ამას ითხოვს ეროვნული რეგულაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, რომ სწავლების შედეგები უფრო მკაფიოდ დაჯგუფდეს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა სწავლების შედეგების შეფასების კომპლექსურ და სტრუქტურირებულ მიდგომას იყენებს როგორც პროგრამის, ისე კურსის დონეზე. აღნიშნული პროცესი ინტეგრირებულია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფისა და კურიკულუმის განვითარების ფართო ჩარჩოში ADDIE (ანალიზი, დიზაინი, განვითარება, განხორციელება, შეფასება), რომელიც ეფუძნება NATO DEEP-ის მეთოდოლოგიას. შეფასების მექანიზმი ორწლიანი ციკლით ხორციელდება:

- პირველი წელი: განისაზღვრება პროგრამის სწავლის შედეგები, მუშავდება კურიკულუმის რუკა და შეფასების გეგმა, გროვდება შესაბამისი მონაცემები.
- მეორე წელი: ტარდება შედეგების ანალიზი და შეფასება; მიღებული მიგნებების საფუძველზე ხდება პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის, სწავლების მეთოდების ან შეფასების ინსტრუმენტების გაუმჯობესების ინიციატივების წამოყენება.

სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდები. ესენია:

- შესრულებაზე დაფუძნებული შეფასებები (მაგალითად, ნაშრომის შეფასება, კვლევითი პროექტები, სიმულაციები).
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები და უკუკავშირი.
- შედარება ეროვნულ და ინსტიტუციურ სტანდარტებთან (benchmarking).

თითოეული სწავლების შედეგისთვის შედგენილია შესაბამისი სამიზნე ნიშნულები და ინდიკატორები. მიმდინარეობს შედეგების მუდმივი მონიტორინგი და ისინი დარდება სამიზნე ნიშნულებთან. თუ შესრულების დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსალოდნელი ნიშნულისგან, შესაბამისი პროგრამული კომპონენტები გადახედვასა და ადაპტირებას ექვემდებარება.

შეფასების პროცესში ჩართულნი არიან როგორც შიდა დაინტერესებული მხარეები (ფაკულტეტის წარმომადგენლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები), ისე გარე დაინტერესებული მხარეები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, კოლეგიალური შემფასებლები). შეფასების შედეგები სისტემატურად ზიარდება პერსონალთან და მიღებული მონაცემები გამოიყენება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ეს მოიცავს კურსების სილაბუსების გადახედვას, სასწავლო მასალების განახლებას და სწავლის შედეგებთან შეფასების მეთოდების შესაბამისობის უზრუნველყოფას.

პროგრამა სრულად შეესაბამება მოცემულ სტანდარტს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის სტრუქტურირებული, სისტემური და მორგებულია პროგრამის სტრატეგიულ და აკადემიურ კონტექსტზე. სამიზნე ნიშნულებთან დადარება, მონაცემების რეგულარული შეგროვება და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობა ხაზს უსვამს დაწესებულებაში არსებულ ხარისხის კულტურას. გარდა ამისა, მიგნებების შემდგომი ინტეგრირება სასწავლო გეგმის უწყვეტ განვითარებაში უზრუნველყოფს სწავლება-სწავლის პროცესების სისტემურ გაუმჯობესებას. შეფასების სისტემა არამხოლოდ ზომავს სტუდენტების აკადემიურ მიღწევებს, არამედ ასევე ხელს უწყობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას და პროგრამის აქტუალობის ზრდას საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების კვლევების სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი <https://eta.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების	x	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რაც ასახულია დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და დამტკიცების წესი.“ იგი ასევე შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის სფეროს „პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები“, აგრეთვე კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS).

პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 123 ECTS კრედიტს. სავალდებულო კომპონენტი შეადგენს 93 კრედიტს, რაც მოიცავს 12 კურსს და 30-კრედიტიან სამაგისტრო ნაშრომს, ხოლო არჩევითი კომპონენტი შეადგენს 30 კრედიტს. სტუდენტებს (იუნკერებს) შეუძლიათ არჩევა 31 არჩევით კურსს შორის, რომელთა საერთო მოცულობა 91 კრედიტია. სასწავლო გეგმის ძირითადი კურსები მოიცავს მეთოდოლოგიურ კურსებს, როგორიცაა „აკადემიური წერა“ და „კვლევის მეთოდები და დიზაინი“, აგრეთვე, თემატურ და საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამის საგნებს, როგორიცაა „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“, „საერთაშორისო ორგანიზაციები“, „საერთაშორისო სამართალი“ და „საგარეო პოლიტიკის ანალიზი.“ ასევე წარმოდგენილია სხვა კურსებიც, რომლებიც უფრო სიღრმისეულად იკვლევენ საერთაშორისო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებს.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად თანმიმდევრულია და ძირითადად თავსებადია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან - საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. სასწავლო გეგმის მოცულობა, შინაარსი და სირთულე შესაბამისობაშია სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებთან და ასახავს როგორც დისციპლინისთვის დამახასიათებელ პრიორიტეტებს, ისე სფეროში არსებულ უახლეს ტენდენციებს. პროგრამის შინაარსი ასევე მოიცავს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს (ზოგიერთი კურსი უშუალოდ შინაარსობრივად უკავშირდება ინტერნაციონალიზაციას და სილაბუსებში ფართოდ გამოიყენება ინგლისურენოვანი ლიტერატურა). მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა, გარკვეულ დონეზე დაეუფლონ სხვა უცხო ენას გარდა ინგლისურისა. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენის კურსები.

არჩევითი კურსები მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა რეგიონული პოლიტიკა, კონფლიქტები, სხვადასხვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, სამხედრო სტრატეგია და ხელოვნური ინტელექტის გავლენა. თუმცა, სავალდებულო კომპონენტში დიპლომატიასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი კურსია წარმოდგენილი — „დიპლომატიის ისტორია.“ ამისგან განსხვავებით, არჩევით

კომპონენტში წარმოდგენილია კურსი „სამხედრო დიპლომატიის როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასა და უსაფრთხოებაში,“ რომელიც გამორჩეული კურსია და ხაზს უსვამს პროგრამის უნიკალურობას.

იმის გათვალისწინებით, რომ "დიპლომატიის ისტორიის" კურსი ძირითადად აღწერითი ხასიათისაა (მხოლოდ პირველი თემა ეხება თეორიულ საფუძვლებს), მიზანშეწონილია, იგი გადავიდეს არჩევით კომპონენტში. შესაბამისად, რეკომენდებულია, კურსი „დიპლომატიის ისტორია“ გადავიდეს არჩევით ნაწილში და მის მაგივრად სავალდებულო კომპონენტში ჩაისვას კურსი, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე დიპლომატიის თეორიაზე, მეთოდებსა და პრაქტიკაზე. იდეალურ შემთხვევაში, აღნიშნული კურსის პირველი ნაწილი უნდა ფარავდეს დიპლომატიის თეორიულ ასპექტებს, ხოლო მეორე ნაწილი უფრო ვრცლად განიხილავდეს სამხედრო დიპლომატიას, რაც ამჟამად არჩევითი კურსის ფარგლებშია წარმოდგენილი.

რეკომენდებულია, რომ კურსი „დიპლომატიის ისტორია“ გადავიდეს არჩევით კომპონენტში და შეიცვალოს ისეთი კურსით, რომელიც მოიცავს დიპლომატიის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას და შემდგომ ვრცლად სამხედრო დიპლომატიის სპეციფიკას. ასევე აღსანიშნავია, რომ კვლევის მეთოდების კურსებისა და სამაგისტრო ნაშრომის გარდა, პროგრამის ამჟამინდელ სტრუქტურაში მხოლოდ ორ კურსს აქვს განსაზღვრული წინაპირობა. მიუხედავად ამისა, ბევრი არჩევითი კურსი თემატურად და ლოგიკურად უკავშირდება ძირითად კურსებს. (მაგალითად, რამდენიმე არჩევითი კურსი, რომელიც კონკრეტული ქვეყნების საგარეო პოლიტიკას ეხება, ბუნებრივად საჭიროებს „საგარეო პოლიტიკის ანალიზის“ კურსის წინაპირობად განსაზღვრას; ევროკავშირისა და ნატოს შესახებ კურსები საჭიროებს „საერთაშორისო ორგანიზაციების“ კურსს წინაპირობად; „საერთაშორისო სამართალი“ შინაარსობრივად ასევე უკავშირდება გარკვეულ კურსებს...) შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ განისაზღვროს კურსის წინაპირობები, რომლებიც შინაარსობრივად დააკავშირებს საბაზისო კურსებს არჩევით კურსებთან, რაც თავის მხრივ გააძლიერებს აკადემიურ პროგრესიას.

რეკომენდებულია, რომ სავალდებულო კომპონენტის ზოგიერთი ძირითადი კურსი განისაზღვროს მათთან თემატურად დაკავშირებული არჩევითი კურსების წინაპირობად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ამჟამად არ მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს. იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა სახელმწიფოს მხარდაჭერით ხორციელდება, აკადემიისათვის შესაძლებელი იქნებოდა მოკლევადიანი პრაქტიკული ტრენინგის დაგეგმვა, მაგალითად, არჩევით კომპონენტში ან არარეგულარული ფორმატით. სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი, გარკვეული ფორმით.

ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან ადასტურებს მათ აქტიურ მონაწილეობას პროგრამის სტრუქტურის შემუშავების პროცესში. აკრედიტებული აკადემიური პროგრამების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია თავდაცვის აკადემიის ვებსაიტზე. როგორც კი აკრედიტაციის პროცესი დასრულდება, ახალი პროგრამაც გამოქვეყნდება ონლაინ, გამჭვირვალობისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ოქმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განვითარებისა და შეფასების მეთოდოლოგია

- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი <https://eta.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ კურსი „დიპლომატიის ისტორია“ გადავიდეს არჩევით კომპონენტში და შეიცვალოს ისეთი კურსით, რომელიც მოიცავს დიპლომატიის თეორიულ საფუძვლებთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას და შემდგომ ვრცლად სამხედრო დიპლომატიის სპეციფიკას.
- რეკომენდებულია, რომ სავალდებულო კომპონენტის ზოგიერთი ძირითადი კურსი განისაზღვროს მათთან თემატურად დაკავშირებული არჩევითი კურსების წინაპირობად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს დაემატოს უცხო ენის კურსები.
- სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში ინტეგრირდეს პრაქტიკული კომპონენტი, გარკვეული ფორმით.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	□	x	□	□

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაში ყოველი აკადემიური კურსი დეტალურადაა დაგეგმილი და შეესაბამება პროგრამის საერთო სწავლის შედეგებს. სილაბუსებში, როგორც წესი, მკაფიოდაა განსაზღვრული დაგეგმილი სწავლის შედეგები, შეფასების სტრატეგიები, განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლების საათები და შესაბამისი

ლიტერატურა. ბევრი კურსი მოიცავს დარგობრივ და თანამედროვე მასალებს, როგორიცაა პოლიტიკის დოკუმენტები, შემთხვევის ანალიზი და საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული დოკუმენტები.

აკადემია აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს შიდა ორსაფეხურიანი შეფასების პროცესით: პირველ ეტაპზე, კურსს ამზადებს ლექტორი, ხოლო შემდეგ მას განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აფასებს მის შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან, „ბლუმის ტაქსონომიის“ გამოყენებას, სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობასა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მიუხედავად ამ სტრუქტურირებული მიდგომისა, ინდივიდუალური სილაბუსების გადახედვამ გამოავლინა შეუსაბამოებები და ხარვეზები შინაარსობრივ ნაწილში, ასევე ლიტერატურის ნაწილში და აკადემიური თანმიმდევრულობის მხრივ.

- კურსი „**დიპლომატიის ისტორია**“ მხოლოდ ერთ თეორიულ საკითხს მოიცავს, ხოლო დანარჩენი შინაარსი აღწერილობით, ქრონოლოგიურ გადმოცემაზეა ორიენტირებული. ეს ხელს უშლის დიპლომატიის როგორც დისციპლინის ანალიტიკურ გააზრებას (იხ. რეკომენდაციები კომპონენტი 1.4 კომპონენტში).
- „**საქართველოს საგარეო პოლიტიკის**“ კურსის ფარგლებში, არ არის წარმოდგენილი აკადემიური სახელმძღვანელოები ან სამეცნიერო ლიტერატურა. უახლეს პერიოდში გამოქვეყნებული, თავისუფლად ხელმისაწვდომი აკადემიური სახელმძღვანელო, რომელიც მომზადებულია ქართველი და უცხოელი ექსპერტების თანაავტორობით, სილაბუსში არ არის მითითებული.
- „**ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის**“ კურსი მოიცავს ძველ წყაროებს და არ მოიცავს ისეთ საბაზისო წყაროებსაც კი, როგორიცაა ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდები ან არსებული პოლიტიკის დოკუმენტები.
- „**საგარეო პოლიტიკის ანალიზის**“ კურსი ისწავლება მყარი თეორიული საფუძვლის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხელმისაწვდომია ქართულენოვანი სახელმძღვანელო, რომლის გათვალისწინებაც გააძლიერებდა კურსის კონცეპტუალურ საფუძველს.
- კურსი „**ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში**“ თემატურად ეკლექტურია და მეთოდოლოგიურად ფრაგმენტული. საბაზისო საკითხები გადაფარვაში მოდის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად თეორიასთან, მაშინ როცა სხვა სესიები აერთიანებს ეთიკურ თეორიებს (მაგალითად, კანტის ანზის) პრაქტიკულ თემებთან (მაგალითად, დრონების გამოყენება ომში) კონცეპტუალური გამჭვირვალობის გარეშე. თემები, როგორიცაა „მშვიდობის მშენებლობა მრავალპოლარული მსოფლიოს პირობებში“, მოიცავს საკითხებს, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება ძირითად თემას, მაგალითად, კლიმატის ცვლილებას, რაც იწვევს თემატური ფოკუსისა და პროფესიული თანმიმდევრულობის ნაკლებობას.
- კურსი „**კონტინენტის ლიდერები: ძალაუფლების დინამიკა თანამედროვე მსოფლიოში**“ გადასახედა მისი მოცულობის მხრივ. მოლოდინი იმისა, რომ სტუდენტები ერთსაათიან სესიებში შეძლებენ რამდენიმე ქვეყნის დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო განზომილების სრულფასოვან ათვისებას, არ არის განხორციელებადი. კურსის შინაარსის მასშტაბი შეუსაბამოა როგორც კურსის განხორციელების პერიოდთან, ისე ხელმისაწვდომი ლიტერატურის მოცულობასთან.

- „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსი არ შეიცავს მკაფიო მითითებებს იმ მეთოდოლოგიურ ელემენტებზე, რომლებიც აუცილებელია მაღალი ხარისხის აკადემიური მუშაობისთვის. ისეთი კონცეფციები, როგორიცაა კვლევის დიზაინი, ცვლადების იდენტიფიკაცია და ჰიპოთეზის ფორმულირება, სილაბუსში ნათლად არ არის გაწერილი.
- ადამიანის უფლებები - სისტემურად არ არის წარმოდგენილი სასწავლო გეგმის ფარგლებში. აღნიშნული საკითხი მხოლოდ ზედაპირულ დონეზე ჩნდება კურსში „ეთიკა და ღირებულებები“ (სუვერენიტეტის კონტექსტში) და სრულიად არ არის მოცემული ისეთ კურსებში, როგორიცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები“, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების საკითხი თანამედროვე დიპლომატიისა და უსაფრთხოების კვლევების მნიშვნელოვანი ნაწილია.
- კურსი „ჩინეთის საგარეო პოლიტიკა“ ითვალისწინებს ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენებას, როგორიცაა „ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება“, თუმცა თავად კურსის შინაარსი არასაკმარისად არის სტრუქტურირებული, რაც ართულებს მის აკადემიურ შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ თავად პროგრამა სტრუქტურულად გამართულია და კურსების ჩარჩო-დიზაინიც განსაზღვრულია, ამჟამად, სასწავლო გეგმის განხორციელებაში შეიმჩნევა პრობლემები. ზოგიერთ სილაბუსში თეორიული ნაწილი წარმოდგენილი არ არის, ზოგან მოძველებული და არასაკმარისი აკადემიური ლიტერატურაა მითითებული, ზოგიერთი კურსი ზედმეტად ფართოა სწავლების პერიოდთან და რესურსებთან მიმართებით. გამოვლენილი სუსტი მხარეები აფერხებს პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგებს შორის თანმიმდევრულობას და მნიშვნელოვანია ამაზე ყურადღების გამახვილება, რომ პროგრამის აკადემიური მთლიანობა და რელევანტურობა იქნას უზრუნველყოფილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა
- ინტერვიუების შედეგები
- ვებ-გვერდი <https://eta.edu.ge/>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსი - განსაკუთრებით „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“, „ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა“ და „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“ - ყოველწლიურად განახლდეს მაღალი აკადემიური სტანდარტის, თანამედროვე წყაროებით. სილაბუსებში წარმოდგენილი უნდა იყოს უახლესი სახელმძღვანელოები და შესაბამისი ინსტიტუციური დოკუმენტები.
- რეკომენდებულია მოხდეს კურსის „ეთიკა და ღირებულებები საერთაშორისო ურთიერთობებში“ გადახედვა და გაძლიერება უფრო მკაფიო კონცეპტუალური ფოკუსით, საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად თეორიასთან გადაფარვის თავიდან აცილების უზრუნველყოფით და შერჩეული თემების თემატური თანმიმდევრულობისა და აკადემიური შესაბამისობის მიმართულებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის ფარგლებში იკითხებოდეს ცალკე კურსი ან არსებითად ინტეგრირდეს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხები არსებულ მოდულებში როგორცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „ეთიკა საერთაშორისო ურთიერთობებში.“

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	x	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	x
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც დაფუძნებულია სამართლიანობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე. ყველა წინაპირობა შეესაბამება პროგრამის აკადემიურ და პროფესიულ მოთხოვნებს. პროგრამაზე დაშვების პროცედურა საჯაროდ ხელმისაწვდომია აკადემიის ოფიციალურ ვებსაიტზე და ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

პროცედურის მიხედვით, კანდიდატი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს, რათა უფლებამოსილი იყოს, რომ განაგრძოს სწავლა სამაგისტრო საფეხურზე.

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების პროცედურა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- შიდა გამოცდა სპეციალობაში;
- ინგლისური ენის გამოცდა ან საერთაშორისო სერტიფიკატი: კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა ან წარმოადგინოს B2 დონის საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, ECL). იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატს არ აქვს B2 დონის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, ECL), მაშინ მან უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა STANAG 2/2/2, რომელსაც აკადემია თავად ატარებს.
- სპეციალობის გასაუბრება: აღნიშნული ასევე განიხილება გარე გამოცდის ნაწილად. გამოცდის თემატიკა გამოქვეყნდება აკადემიის ვებსაიტზე გასაუბრების თარიღამდე ერთი თვით ადრე. კანდიდატებმა უნდა აირჩიონ ვებსაიტზე გამოქვეყნებული სიიდან ორი თემა. ეს თემები წარმოადგენს ფორმალური პრეზენტაციისა და განხილვის საფუძველს, რაც კანდიდატებს მისცემს შესაძლებლობას, წარმოაჩინონ თავიანთი ანალიტიკური უნარები.

სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანდიდატები პროგრამაზე ჩაირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დაშვების წინაპირობების თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამაზე 30 სტუდენტს მიიღებენ (20 სტუდენტი ისწავლის უფასოდ და 10 სტუდენტი - თვითდაფინანსებით). კანდიდატები უნდა იყვნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, უსაფრთხოების სექტორის ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები და უნდა ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებ გვერდი www.eta.edu.ge
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ აკადემიის ვიცე-რექტორთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
------------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------------	------

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	x	☐	☐	☐
---------------------------------------	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას სასწავლო კურსების, ინტერაქტიული მეთოდებისა და აკადემიურ და პროფესიულ პროექტებში მონაწილეობის საშუალებით. პროგრამა მიზნად ისახავს შემოქმედებითობისა და საჯარო გამოსვლის უნარის გაძლიერებას რეგულარული პრეზენტაციებისა და დინამიური სააუდიტორიო მუშაობის საშუალებით. ასევე, პროგრამაში ინტეგრირებულია „რბილი უნარების“ განვითარება, მათ შორის პირდაპირი კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა და სტრატეგიული ამოცანების გადაჭრა, რაც ხელს უწყობს კომპლექსური უნარების მქონე პროფესიონალების ჩამოყალიბებას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი კურსებშია წარმოდგენილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა. სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა აქტივობა სტუდენტების პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, როგორიცაა ჯგუფური პრეზენტაციები, სიმულაციები, სასწავლო სცენარების შემუშავება და აქტიური ჩართულობა. პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შესაძლებლობა, სასწავლო კურსს დაემატოს პრაქტიკული კომპონენტი - სამხედრო პროდუქციის მწარმოებელ ქარხნებში ვიზიტის სახით. ასეთი ვიზიტები სტუდენტებს უშუალოდ დააკავშირებს თავდაცვის ინდუსტრიასთან, რითაც ისინი უკეთ გაეცნობიან სამხედრო წარმოების ტექნოლოგიურ, ლოგისტიკურ და სტრატეგიულ მხარეებს. ამგვარი უშუალო გამოცდილება თეორიულ ცოდნას შეავსებს რეალური გამოცდილებით, თავდაცვის სისტემების შემუშავებისა და წარმოების პროცესების შესახებ.

კვლევითი კომპეტენციების განვითარება პროგრამის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. სტუდენტები ჩართულნი არიან სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში, სამეცნიერო ხელმძღვანელობის ქვეშ, რაც მათი აკადემიური მომზადების დასკვნით ეტაპს წარმოადგენს. საბაზისო კურსები, როგორიცაა „აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის“ და „კვლევის მეთოდები და დიზაინი,“ აძლიერებს სტუდენტების უნარებს ჩაატარონ მაღალი ხარისხის აკადემიური კვლევა და ეფექტურად წარმოადგინონ მისი შედეგები.

აკადემიის ფართო სტრატეგიულ ხედვასთან თანხვედრაში, რომელიც მიზნად ისახავს კვლევაზე ორიენტირებული აკადემიური გარემოს შექმნას, სტუდენტები მხარდაჭერილნი და წახალისებული არიან მონაწილეობა მიიღონ კვლევასთან დაკავშირებულ აქტივობებში. აღნიშნული მოიცავს აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობასა და თანამშრომლობით კვლევით პროექტებში ჩართულობას. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ საჯარო ლექციებს, რომლებიც ტარდება როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით. ასეთი აქტივობები სტუდენტებისთვის წარმოადგენს კარგ პლატფორმას მათთვის საინტერესო საკითხების

განსახილველად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების უკეთ გასაგებად და კვლევითი უნარების დასახვეწად.

2020 წელს აკადემიაში დაარსდა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია აკადემიური კვლევის კულტურის ინსტიტუციონალიზაციისათვის. ცენტრი მხარს უჭერს პროფესორებისა და მეცნიერების, ასევე სტუდენტების აკადემიურ აქტივობებს. აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობა - როგორც შიდა, ისე სხვა აკადემიებთან თანამშრომლობით - და ინტერდისციპლინარულ პროექტებში ჩართულობა სტუდენტებს აყენებს თეორიული ძიებისა და ემპირიული გამოყენების კვეთაზე.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრი გამოსცემს სამ ჟურნალს: „ნაშრომები“, „სამხედრო ნაშრომები“ და ინგლისურენოვან საერთაშორისო ჟურნალს „Defense and Science.“ სამივე ჟურნალი ხელმისაწვდომია ციფრულ ფორმატში და განთავსებულია ონლაინ პლატფორმებზე, რაც მათ ხელმისაწვდომობასა და სამეცნიერო წვდომას უზრუნველყოფს.

2022–2023 სასწავლო წელს აკადემიამ გადახედა სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესს. ამჟამად, სტუდენტებს ევალებათ დაამტკიცონ საკუთარი აკადემიური ჩართულობა მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებით რეცენზირებად ჟურნალში და მინიმუმ ერთ აკადემიურ კონფერენციაში მონაწილეობით. აღნიშნული მოთხოვნა ასახავს აკადემიის მტკიცე ერთგულებას მაღალი აკადემიური ხარისხის, ინტელექტუალური სიმკაცრისა და სამაგისტრო განათლებაში კვლევის არსებითი ინტეგრირების მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებ-გვერდი: www.eta.edu.ge
- კურსის სილაბუსები
- ინფორმაცია სტუდენტების ჩართულობის შესახებ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში N9;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- ინტერვიუ ცენტრის წარმომადგენელთან.
- ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან
- სამაგისტრო ნაშრომის პროექტები

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია და მნიშვნელოვნად სასარგებლო იქნება სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობა შია	მეტწილად შესაბამისობა	ნაწილობრივ შესაბამისობა	არ არის შესაბამისობა
------------	------------------	-----------------------	-------------------------	----------------------

	მოთხოვნები ან	შია მოთხოვნები ან	შია მოთხოვნები ან	ში მოთხოვნები ან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	x	□	□	□

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

„NDA აქტიურად რთავს სტუდენტებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.“ „სტუდენტების მონაწილეობენ როგორც ფორმალურად, ასევე, არაფორმალური გზებით რაც მოიცავს დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების საქმიანობებს.“

სტუდენტებს წვლილი შეაქვთ უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით, როგორცაა სტრუქტურირებული გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები. ეს ინსტრუმენტები აფასებს პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის კურსის შინაარსს, სწავლების ხარისხს, ბიბლიოთეკისა და IT მომსახურებას, სამეცნიერო ზედამხედველობას და ინფრასტრუქტურას. შეფასების ფორმები და კითხვარები წინასწარ არის შემუშავებული და სტანდარტიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. გამოკითხვის შედეგები სისტემატურად ანალიზდება და განიხილება აკადემიურ შეხვედრებზე, სადაც პროგრამის გაუმჯობესება განიხილება.

გარდა ამისა, სტუდენტები ჩართულნი არიან პროგრამის მონიტორინგის უფრო ფართო პროცესებშიც. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ ჰყავს ტრადიციული თვითმმართველი სტუდენტური ორგანო, ის „სპიკერობის მოდელს“ იყენებს. ამ მოდელში, არჩეული სტუდენტი-სპიკერები წარმოადგენენ თავიანთ ჯგუფებს და პირდაპირ უზიარებენ კოლეგებს, აკადემიის უმაღლეს ხელმძღვანელობას, მათ შორის რექტორს და პროგრამის ხელმძღვანელებს, თავიანთ უკუკავშირს, შემფოთებას და წინადადებებს. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუმცა ნაკლებ ფორმალიზებული სტრუქტურით, სტუდენტურ თვითმმართველობებთან შედარებით.

სტუდენტები ასევე მონაწილეობენ თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებასა და გარე აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცედურებისთვის მომზადებაში. მათი ჩართულობას გამოიხატება სამუშაო ჯგუფებსა და საკონსულტაციო შეხვედრებში მონაწილეობით, სადაც სტუდენტები თანამშრომლობენ ფაკულტეტთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. აკადემია აწვობს რეგულარულ შეხვედრებს სტუდენტებსა და მმართველ მენეჯმენტს შორის და ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას სასწავლო გეგმის შემუშავებაში, სწავლების მეთოდებსა და რესურსების განაწილებაში. როდესაც პრობლემები წამოიჭრება, შემდგომი ქმედებები იგეგმება და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან თანამშრომლობით.

პროგრამა შეესაბამება ამ სტანდარტს. ხარისხის უზრუნველყოფაში სტუდენტების მონაწილეობის მექანიზმები ფუნქციონალური და ინკლუზიურია, თუმცა ისინი ფორმალური სტუდენტურ საბჭოს ნაცვლად, სპიკერის მოდელს ეყრდნობა. უკუკავშირის არხების ფართო სპექტრი — გამოკითხვებიდან დაწყებული სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობით დამთავრებული — უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ მონაწილეობის შესაძლებლობა პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში. უფროსი ხელმძღვანელობის ვალდებულებაა განიხილოს და უპასუხოს სტუდენტების უკუკავშირს, რაც აძლიერებს და გამჭვირვალეს ხდის ინსტიტუციაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ვებ გვერდი www.eta.edu.ge
- კურსის სილაბუსები
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- გასაუბრება ცენტრის წარმომადგენელთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	x	☐	☐	☐	

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრატურის პროგრამაზე მაგისტრის ხარისხის მოპოვება ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით, სახელწოდებით „უმაღლესი განათლების პროგრამებში კრედიტების გაანგარიშების წესი“, დადგენილი შეფასების სისტემის შესაბამისად.

აკადემია იყენებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემას, რომელიც მხარს უჭერს და აუმჯობესებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას.

აკადემია უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეებისთვის საინფორმაციო სესიების ჩატარებას, რათა ხელი შეუწყოს შეფასების ფორმებთან, კომპონენტებთან და მეთოდებთან დაკავშირებული გამჭვირვალობის გაზრდას. შესაბამისი ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ILIAS/MOODLE სასწავლო პლატფორმაზე.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას და მოიცავს ადეკვატურ შეფასების ფორმებს, მეთოდებს, რომლითაც განისაზღვრება, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

სტუდენტების ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სტრუქტურა მოიცავს როგორც შუალედურ, ასევე დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი შეადგენს საბოლოო შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს ენიჭება კონკრეტული წონა საერთო 100 ქულიანი მაჩვენებლის ფარგლებში. შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების დეტალური აღწერილობები მოცემულია თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში.

სტუდენტს საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური შესაძლო ქულებიდან ჯამში მინიმუმ 51 ქულას დააგროვებს. ამ მაგისტრატურის პროგრამებში, როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასებებისთვის, ასევე შუალედური შეფასების ცალკეული კომპონენტებისთვის, კომპეტენციის მინიმალური ზღვარი 51%-ია. აკადემიური კრედიტის მისაღებად სტუდენტმა მაქსიმუმ 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულა უნდა დააგროვოს. შეფასების სისტემა დადებითი შეფასების ხუთ კატეგორიას მოიცავს:

- ა) (A) შესანიშნავი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფითი შეფასებაა:

- (FX) ჩაჭრილი – 41-50 ქულა, რაც მიუთითებს, რომ სტუდენტს დამატებითი სამუშაო სჭირდება და მას უფლება აქვს გამოცდა ხელახლა ჩააბაროს საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან ხუთი დღის განმავლობაში ერთხელ.
- (F) ჩაჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც წარუმატებლობაზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში აკადემიური საბჭო შეიძლება განიხილავდეს სტუდენტის აკადემიური სტატუსის შეწყვეტას.

სამაგისტრო ნაშრომი არის კვლევითი დოკუმენტი, რომელსაც მაგისტრატურის სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას, სტუდენტი აჩვენებს თავის კვლევით უნარებს, რომ დამოუკიდებლად ჩატაროს კვლევა, ჩამოაყალიბოს, სტრუქტურირება გაუკეთოს, საჯაროდ წარმოადგინოს და დაიცვას იგი. სამაგისტრო თემას მაგისტრანტი ინდივიდუალურად ასრულებს, მაგისტრატურის ხელმძღვანელის მიერ მიწოდებული

რეკომენდაციების სათანადო გათვალისწინებით. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას ირჩევს მისი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე.

სამაგისტრო ნაშრომი ექვემდებარება ერთჯერად საბოლოო შეფასებას. ეს მოიცავს:

- ხელმძღვანელის შეფასება – 20 ქულა
- რეცენზენტის შეფასება – 30 ქულა
- საჯარო დაცვისას მიღებული შეფასება – 50 ქულა

სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სტუდენტმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი აკადემიური მოთხოვნები:

- მოამზადოს და გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია რეცენზირებულ ჟურნალში;
- მონაწილეობა მიიღოს მინიმუმ ერთ აკადემიურ კონფერენციაში.

